

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის
ოქმი N2

ქ. თბილისი

07 ოქტომბერი 2013 წ.

შესყიდვის საგანი: ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ N53-ში მდებარე შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის (13060,0 მ² მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N03.01.22.160 - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (N950; 16.09.2013) საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:

- გოგი ფაცაცია

მინისტრის პირველი მოადგილე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

-მერაბ მენაბდე

მინისტრის მოადგილე

-კობა სელიმაშვილი

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი

- მურად აბლოთია

დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი

-ზაზა იმედაშვილი

მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების

დეპარტამენტის უფროსი

- კახაბერ პეტრიაშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

-კახაბერ ჩხარტიშვილი

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

- გია ნაჭყებია

ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი

- ამირან გოგიძე

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი

- დავით ლოლაძე

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე

- მაიკო მიქაია

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

დღის წესრიგი:

ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ N53-ში მდებარე შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის (13060,0 მ² მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N03.01.22.160 - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე მიმდინარე ელექტრონულ კონკურსში კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შედეგების განხილვა.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ მოისმინა:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ სატენდერო (საკონკურსო) კომისიას წარუდგინა სამინისტროს მიერ 2013 წლის 16 სექტემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში (N950; 16.09.2013) მონაწილე კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტებით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, მან აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებისთვის საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2013 წლის 04 ოქტომბერს, 14:00 საათზე; ელექტრონულ კონკურსში (N950; 16.09.2013) მონაწილეობდა და თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა სამმა კონკურსანტმა;

1. შპს "გეომეფი";
2. შპს „ლაინ ჯორჯია“;
3. შპს „Live Design“;

სხდომაზე აღინიშნა, რომ საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილია დალუქული კონვერტებით, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადებში - საკონკურსო წინადადების დაგვიანებით წარმოდგენას ადგილი არ ჰქონია. საკონკურსო კომისიის სხდომის მიმდინარეობისას კომისიის აპარატის მიერ, საკონკურსო კომისიის წევრების თანდასწრებით განხორციელდა ზემოაღნიშნულ კონკურსებში მონაწილე კონკურსანტების მიერ გამოგზავნილი დალუქული კონვერტის გახსნა და მასში არსებული საკონკურსო დოკუმენტაცია განხილვისათვის გადაეცა სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრებს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე გ.ფაცაცია მიმართა დამსწრეებს და განუმარტა, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, მას შემდეგ რაც ცნობილი

გაზდა კონკურსში მონაწილის ვინაობა, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები ვალდებული არიან წერილობით დაადასტურონ, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები და სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები ხელმოწერებით დაეთანხმნენ ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ხელწერილის მოთხოვნას.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტით გამოგზავნილი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაასახელეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი.

1. შპს "გეომეფი- 67 440 (სამოცდაშვიდი ათას ოთხას ორმოცი);
2. შპს „ლაინ ჯორჯია“- 68 000 (სამოცდარვა ათასი);
3. შპს „Live Design“- 68 000 (სამოცდარვა ათასი);

აზრი გამოთქვს:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ, ვინაიდან საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა ხდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის და საკონკურსო წინადადების ფასის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიმაჩნია კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ არქიტექტურული კონცეფციის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად, საკონკურსო წინადადების ეს ნაწილი შესწავლის მიზნით გადაეცეს სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს, რომელიც შეისწავლის და მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგენს თავის მოსაზრებას კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფციების შესახებ.

კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ აღნიშნულს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ გადაწყვიტა:

1. კონკურსში მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება მოხდეს საკონკურსო კომისიის მომდევნო სხდომაზე.
2. სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველომ მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფციის შესახებ.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:



გიორგი ფაცაცია



მერაბ მენაბდე



კობა სელიმაშვილი



კახაბერ პეტრიაშვილი



კახაბერ ჩხარტიშვილი



ზაზა იმედაშვილი



მურად აბლოთია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:



გია ნაჭყებია



ამირან გოგიძე



დავით ლოლაძე



მაიკო მიქია

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

7-ოქტომბერი 2013 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, ქვემოაღნიშნული პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2013 წლის 16 სექტემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში (N950; 16.09.2013) ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვის ობიექტი:

ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ N53-ში მდებარე შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის (13060,0 მ² მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N03.01.22.160 - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა ელექტრონული კონკურსის (N950; 16.09.2013) საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:



გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:



მერაბ მენაბდე



კობა სელიმაშვილი



კახაბერ პეტრიაშვილი



კახაბერ ჩხარტიშვილი



ზაზა იმედაშვილი



მურად აბლოთია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:



გია ნაჭყვია



ამირან გოგიძე



დავით ლოლაძე



მაიკო მიქია